საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

2026 წლის II კვარტლის

ანგარიში

კვარტლის სიახლეები

- ✓ განხორციელდა ქართული ფილმების შერჩევა და პირდაპირი გზით შეძენა;
- ✓ ახალი სეზონის ბადეში განსათავსებლად გაფორმდა ხელშეკრულება: **SILVER BOX LIMITED (02-21/61)** – მხატვრული სერიალების ლიცენზიის შეძენის თაობაზე;
- ✓ **TRO DISTRIBIUTION (02-21/43)** - დოკუმენტური ფილმების ლიცენზიის შეძენის თაობაზე;
- ✓ **KUIV (02-21/45)** - დოკუმენტური ფილმების ლიცენზიის შეძენის თაობაზე;
- ✓ **MEDIART (02-21/46)** - დოკუმენტური ფილმების ლიცენზიის შეძენის თაობაზე;
- ✓ **EDDY STORY (02-21/47)** - დოკუმენტური ფილმების ლიცენზიის შეძენის თაობაზე;
- ✓ **DCD (02-21/42)** - დოკუმენტური ფილმების ლიცენზიის შეძენის თაობაზე.
- ✓ პროდუქციის გახმოვანების მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ქართულ გახმოვანებასთან“;
- ✓ განხორციელდა პროდუქციის მიღება, შემოწმება;
- ✓ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით განხორციელდა შესაბამისი თემატიკის დოკუმენტური ფილმების მიღება და ბადეში განთავსება (პროდუქცია მოწოდებულია დოკუმენტური ფილმების სტუდიის მიერ); ასევე განხორციელდა სეზონური ტიხრებისა და არტების განთავსება ეთერში;
- ✓ უზრუნველყოფილ იქნა საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომების პირდაპირი ტრანსლაცია ეთერში;
- ✓ რეგულარულად ხორციელდებოდა ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და მიწოდება სხვადასხვა ვებ-პლატფორმისთვის, ასევე კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში, „მაგთისატსა“ და „სილკნეტში“ პროგრამის დამუშავება და გადაცემა;
- ✓ განხორციელდა გადაცემებისა და ანონსების ხარისხის კონტროლი და ეთერში განთავსება;
- ✓ სოციალური რეკლამების განთავსება;

II კვარტალში ბადეში განხორციელებული სიახლეები:

- ✓ აპრილი-ივნისის პერიოდში რეორგანიზაციის პროცესიდან გამომდინარე შემუშავდა სპეციალური ბადე;
- ✓ დროებით შეჩერებული გადაცემების განმეორებითი ჩვენება მოხდა აპრილის და მაისის თვეებში;
- ✓ ივნისის თვიდან ჩაიშვა 5 გადაცემა;
- ✓ 18 ივნისიდან ეთერში განთავსდა ტურიზმის რგოლები “ მასპინძელი”

ონლაინმედია

მაუწყებლის მედიაპროდუქტი სოციალური ქსელების საშუალებით მიეწოდება სამიზნე აუდიტორიას. კონტენტი მუშავდება სხვადასხვა პლატფორმისთვის (ფეისბუქი, ინსტაგრამი, იუთუბი).

მეორე კვარტლის საანგარიშო პერიოდში ჩვენს არხზე განთავსებულმა ვიდეოებმა ჯამში 4 მილიონი ნახვა დააგროვა, ხოლო მათი ყურების საერთო ხანგრძლივობამ 445 საათი შეადგინა.

8600 დამატებით გამომწერი გვყავს და ამ ეტაპზე აჭარის მაუწყებელს 51 289 მიმდევარი ყავს ამ არხზე.

აჭარის ტელევიზიის მთავარი გვერდი
ფეისბუქ-გვერდი
საერთო ნახვა - 37 000;
გვერდს დაემატა - 7 000 გამომწერი

“Ajaratv SHOWS”
ფეისბუქ გვერდი
გვერდზე ნახვები - 6 700 000;
მომხმარებლების ჩართულობა - 153 000.

Instagram
მეორე კვარტალში 815 000 ნახვა , 60 ათასი კომენტარი და მოწონება დააგროვა ძველმა ვიდეოებმა.

TikTok
ვიდეოების ნახვა - 261 000
გვერდის ნახვა - 1 800
გაზიარება - 1 000-ზე მეტი

იურიდიული მხარდაჭერის სამსახურის ანგარიში

➢ სასამართლო დავები:

N	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1	მოსარჩელე: ,,I.M.J Group''	2021 წლის 20 სექტემბრის N02-22/176 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე მაუწყებლისათვის 76075 ლარის ოდენობით თანხის დაკისრება. 2283 სახელმწიფო ბაჟის მაუწყებლისთვის დაკისრება.	ბათუმის საქალაქო სასამართლოში სარჩელი წარდგენილია - 19.04.2022; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მაუწყებელს კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრა 34015,94 ლარი. მაუწყებელს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი - 1070.47 ლარის ოდენობით. ორივე მხარემ გადაწყვეტილება გასაჩივრა სააპელაციო წესით. მაუწყებლის შუამდგომლობის საფუძველზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2024 წლის 08 ოქტომბრის განჩინება/ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოწინააღმდეგე მხარის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი; გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამარათლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მაუწყებელს მხარის სასარგებლოდ დაეკისრა 34 015.94 ლარისა და სახელწმიფო ბაჟის- 1070.47 გადახდა. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. მხარემ ზემოაღნიშნული განჩინება/გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გაასაჩივრა უზენაესი სასამართლოში, რაც დაკმაყოფილდა, ვინაიდან სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის გამოუცხადებლობა სააპელაციო სასამარლოში განპირობებული იყო საპატიო მიზეზით. საქმე დაბრუნდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად. სხდომა ჩანიშნულია 2026 წლის 24 მარტს. მომდევნო სხდომა ჩაინიშნა 2026 წლის 19 მაისს 11:00 სთ-ზე, ონლაინ. საბოლოო სხდომა გაიმართა 2026 წლის 30 ივნისს, 11:00 სთ-ზე (ონლაინ რეჟიმში), გადაწყვეტილება გამოცხადდება 2026 წლის 10 ივლისს.

2.	მოსარჩელე: გოჩა მიქელაძე	სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურის შრომის უსაფრთხოების მენეჯერ გოჩა მიქელაძისათვის შრომითი ანაზღაურების დაქვითვისა და სხვა ღონისძიებების გატარების შესახებ'' მაუწყებლის დირექტორის მ/შ-ის 2025 წლის 24 დეკემბრის N03-01/50 ბრძანების ბათილად ცნობა; დაქვითული ხელფასის ანაზღაურება - 1339.13 ლარის ოდენობით.	მაუწყებლის დირექტორის მ/შ-ის 2025 წლის 24 დეკემბრის N 03-01/50 ბრძანებით შრომითი საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველის (სერტიფიკატი) არ ქონის გამო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს სერტიფიკატის არ ქონის ვადით დაუკავდა ხელფასი. აღნიშნული ბრძანება 2026 წლის 23 იანვარს გასაჩივრდა ბათუმის საქალაქო სასამართლოში. მაუწყებელმა წარადგინა შესაგებელი - 23.03.2026. გოჩა მიქელაძემ გამოიხმო სარჩელი. შესაბამისად დავა დასრულდა.
3.	მოპასუხე: შპს ,,ინვესტ ინ ჯორჯია	შპს ,,ინვესტ ინ ჯორჯია"-სათვის 420 ლარის ოდენობით თანხის დაკისრება, ასევე სახელმწიფო ბაჟის დაკისრება - 50 ლარის ოდენობით.	მაუწყებელსა და შპს „ინვესტ ინ ჯორჯია“-ს შორის 2023 წლის 16 თებერვალს გაფორმდა ხელშეკრულება №02-23/04 რეკლამის განთავსების თაობაზე. მაუწყებელმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა მხარეს არ გადაუხდია სახელშეკრულებო თანხა - 420 ლარის ოდენობით. სარჩელი წარდგენილია სასამართლოში 2026 წლის 14 მარტს. მხარეს სარჩელი და თანდართული დოკუმენტაცია გაეგზავნა ორჯერ, ორ სხვადასხვა მისამართზე, ასევე დაეგზავნა წერილი სმს სახით და ელ. ფოსტაზე, თუმცა ვერ მოხერხდა სარჩელსა და თანდართული დოკუმენტაციის ჩაბარება. აღნიშნულიდან გამომდინარე საჯარო გამოქვეყნებაზე ვიშუამდგომლეთ სასამართლოსთან.

➢ ხელშეკრულებები, რომლებზეც არ ვრცელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი:

N	ხელშეკრულების შესახებ	რაოდენობა
1	მაუწყებლის მიერ, პროგრამის, პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის შესახებ (02-21)	19
2	სარეკლამო კონტენტის განთავსების შესახებ (02-23)	2
3	იჯარა (02-24)	1
4	სხვა სახის ხელშეკრულებები (02-27)	-

➢ ბლოკის მიერ მომზადებული ბრძანებები და სხვა დოკუმენტაცია

N	დოკუმენტის სახეობა	რაოდენობა
1	ბრძანება	20
2	მოხსენებითი	18
3	წერილი	35
4	შეთანხმების აქტი	1
5	მინდობილობა	3

➢ მაუწყებელში შექმნილ კომისიებში მონაწილეობა და სხვა აქტივობები:

1. სოციალური რეკლამის სტატუსის მიმნიჭებელი კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა;
2. სატენდერო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა;
3. საკონსულტაციო კომისიის/ დანერგვის ჯგუფის მუშაობაში ჩართულობა და საოქმო ჩანაწერების წარმოება;
4. მაუწყებლის ტელე-რადიო პროგრამების შეფასებისა და სამაუწყებლო ბადის დაგეგმვის დროებით კომისიის საოქმო ჩანაწერების წარმოება;
5. მაუწყებლის თანამშრომლებისთვის კონსულტაციის გაწევა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე;
6. წარმომადგენლობა საერთო სასამართლოებში;
7. მაუწყებლის დირექტორის მიერ გამოსაცემი ბრძანებების, შიდა და გარე კორესპონდენციის ვიზირება და რედაქტირება.

საქმისწარმოების განყოფილება

➢ მაუწყებლის საქმისწარმოების განყოფილებაში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

N	დოკუმენტის სახება	რაოდენობა
1	შიდა დოკუმენტი	**514**
2	გარედან შემოსული	**72**
3	კანცელარიიდან გაიგზავნა	**75**

➢ მაუწყებლის საქმისწარმოების განყოფილების მიერ გატარებული სამართლებრივი აქტები:

N	ბრძანების სახეობა	რაოდენობა
1	ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03)	21
2	ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09)	6
3	პირადი შემადგენლობის შესახებ (03-01)	22

➢ სხვა:

N	სახეობა	რაოდენობა
1	მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი	95
2	საფოსტო გზავნილი	6

ანგარიში

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
2026 წლის II კვარტლის
ბიუჯეტის
შესრულების შესახებ

ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

„საზოგადოებრივი მაუწყებლის" სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2026 წლის ბიუჯეტის შესაბამისად, II კვარტალის ხარჯების გეგმამ შეადგინა 5.270.560 ლარი.

2026 წლის II კვარტლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულმა ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4.402.391 ლარი.


❖ დაგეგმილი და გაწეული საკასო ხარჯების შედარება:

ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

ხარჯების დასახელება	გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა/სხვაობა	%
დირექტორი და დაქვემდებარებული პირები	114.750	114.006	744	99,4%
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	599.110	480.627	118.483	80,2%
ახალი ამბები	1.051.000	914.476	136.524	87,0%
მედია	2.305.500	1.786.545	518.955	77,5%
ტექნიკური ხარჯი	1.078.500	1.019.100	59.400	94,5%
ტექნიკური აღჭურვა	45.000	0	45.000	0%
სხვა სამაუწყებლო ხარჯი	9.000	10.254	(1.254)	113,9%
ფინანსური ხარჯი	67.700	77.383	(9.683)	114,3%
სულ ჯამი:	**5.270.560**	**4.402.391**	**868.169**	**83,5%**

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2026 წლის II კვარტალის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 868,2 ათასი ლარით ნაკლები.

❖ ბიუჯეტის შესრულების დიაგრამა:



შრომის ანაზღაურება


სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს 2026 წლის II კვარტალში შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 3.291.460 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3.231.094 ლარი.

ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა შეადგინა 60,4 ათასი ლარით ნაკლები.

შრომის ანაზღაურების გადანაწილება მუხლების მიხედვით:

ხარჯების დასახელება	გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა/სხვაობა	%
დირექტორი და დაქვემდებარებული პირები	114.750	114.006	744	99,4%
ადმინისტრაცია	163.860	148.865	14.995	90,9%
ახალი ამბები	853.300	812.679	40.621	95,2%
მედია	1.329.650	1.325.712	3.938	99,7%
ტექნიკა	829.900	829.832	68	99,9%
სულ ჯამი:	**3.291.460**	**3.231.094**	**60.366**	**98,2%**

❖ შრომის ანაზღაურების დიაგრამა:



მივლინება


სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს 2026 წლის II კვარტალის ბიუჯეტით, სამივლინებო თანხა განისაზღვრა 182.800 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 105.999 ლარი.

ფაქტობრივმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 76,8 ათასი ლარით ნაკლები.

სამივლინებო ხარჯები მუხლების მიხედვით:

ხარჯების დასახელება	გეგმა	საკასო ხარჯი	გადახრა/სხვაობა	%
ადმინისტრაცია	10.000	3.641	6.359	36,4%
ახალი ამბები	82.500	85.166	(2.666)	103,2%
მედია	86.600	16.522	70.078	19,1%
ტექნიკა	3.700	670	3.030	18,1%
სულ ჯამი:	**182.800**	**105.999**	**76.801**	**58,0%**

❖ სამივლინებო ხარჯების დიაგრამა:



საინვესტიციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი

2026 წლის II კვარტალის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეული კაპიტალური ხარჯები:


ტექნიკური აღჭურვა	**0**

ლიცენზიები/გადასცემები

მაუწყებლის მიერ 2026 წლის II კვარტალის განმავლობაში მექანიკური პროდუქციის შესყიდვაზე გადახდილ იქნა 357.109 ლარი, ხოლო გარეწარმოების გადაცემების შესყიდვაზე კი 63.708 ლარი.

მექანიკური პროდუქცია	**357.109**
გარეწარმოების გადაცემები	**63.708**
სულ:	**420.817**

❖ ლიცენზიები/გადასცემების პროცენტული მაჩვენებელი



ფინანსური ხარჯი

მაუწყებლის მიერ 2026 წლის II კვარტალის განმავლობაში გაწეული ფინანსური ხარჯები:

საგადასახადო გადასახდელები	**77.383**


კომერციული/არასაბიუჯეტო შემოსავლები

2026 წლის II კვარტალის განმავლობაში საკუთარი სახსრებით დარიცხულმა შემოსავლებმა შეადგინა 167.057 ლარი. აღნიშნული თანხიდან სასპონსორო და სარეკლამო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი იყო 3.090 ლარი, საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 42.304 ლარი, ხოლო დეპოზიტზე დარიცხული პროცენტებიდან შემოსავლმა კი 121.663 ლარი.

კომერციული/არასაბიუჯეტო შემოსავლები

სასპონსორო და სარეკლამო მომსახურება	**3.090**
საიჯარო მომსახურება	**42.304**
შემოსავლები დეპოზიტზე დარიცხული პროცენტებიდან	**121.663**
ჯამი:	**167.057**

❖ **არასაბიუჯეტო შემოსავლების პროცენტული მაჩვენებლები**



დეტალური ინფორმაცია 2026 წლის მეორე კვარტალში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

II კვარტალი _ 2026 წელი

❖ მაუწყებლის მიერ 2026 წლის მეორე კვარტალში გაწეული საკასო ხარჯები

პერიოდი: 01/04/2026- 30/06/2026
ვალუტა: ლარი

კოდი	ანგარიშის დასახელება	სულ
1-0-0-00	**საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი**	**4.325.008**
1-1-0-00	**დირექტორი და დაქვემდებარებული პირები**	**114.006**
1-1-1-00	*შრომის ანაზღაურება*	*114.006*
1-2-0-00	**საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი**	**480.627**
1-2-1-00	*შრომის ანაზღაურება*	*148.865*
1-2-2-00	*მივლინება*	*3.641*
1-2-3-00	*რეკლამა და ბრენდირება*	*12.314*
1-2-4-00	*კომუნალური ხარჯები*	*27.296*
1-2-5-00	*ავტოპარკი*	*38.996*
1-2-6-00	*საოფისე ხარჯი*	*249.515*
1-3-0-00	**ახალი ამბები**	**914.476**
1-3-1-00	*შრომის ანაზღაურება*	*812.679*
1-3-2-00	*მივლინება*	*85.165*
1-3-3-00	*უცხური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება*	*16.632*
1-4-0-00	**მედია**	**1.786.545**
1-4-1-00	*შრომის ანაზღაურება*	*1.325.712*
1-4-2-00	*მივლინება*	*16.522*
1-4-3-00	*გარეწარმოება*	*63.708*
1-4-4-00	*უცხოური და ქართული მხატვრული ფილმები, სერიალები, დოკუმენტური ფილმები, ანიმაცია*	*357.109*
1-4-5-00	*საავტორო უფლებების ჰონორარი, მუსიკალური ნაწარმოებების გამოყენების უფლება*	*23.371*
1-4-7-00	*შესყიდვები მედია*	*123*
1-5-0-00	**ტექნიკური ხარჯი**	**1.019.100**
1-5-1-00	*შრომის ანაზღაურება*	*829.832*
1-5-2-00	*მივლინება*	*670*
1-5-3-00	*ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯები*	*145.344*
1-5-4-00	*სხვა არასაინვესტიციო ხარჯი*	*43.254*
1-7-0-00	**სხვა სამაუწყებლო ხარჯი**	**10.254**
2-0-0-00	**საინვესტიციო საქმინობაზე გაწეული ხარჯი**	**0**
2-2-0-00	**ტექნიკური აღჭურვა**	**0**
3-0-0-00	**ფინანსური ხარჯი**	**77.383**
3-1-0-00	**საგადასახადო გადასახდელები**	**77.383**
3-1-1-00	*დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის)*	*71.811*
3-1-2-00	*ქონების/მოგების გადასახადი*	*5.572*
	სულ ხარჯი	**4.402.391**